თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 8

28 ივნისი 2018 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 25 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე;

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -კონსერვატორები" თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი;

საკრებულოს წევრები: ლევანი ოთიურიძე, ლელა მენთეშაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ბესიკი ქოჩიშვილი, გიორგი ჩაბრაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ვასილი არაბული, ლევან მრელაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, გიგა მამუკელაშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, ზურაბ მუსაევი, ბესიკ გაიპარაშვილი, აბრამ მახარიაშვილი, ზურაბი ნაცარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გ.თუშიშვილი;
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გ.ენუქიძე;
იურიდიული სამსახურის უფროსი ლ.ბერძენაშვილი;
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნ.აფციაური;
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნ.ვაყელიშვილი;
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ნ.ბაჩიაშვილი;
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი ვ.გაგნიძე;
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი დ.ზაქაიძე და სპეციალისტი ლ.მერაბიშვილი;
საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი, აპარატის უფროსის მ/შ ნინო ტაბიძე;
საკრებულოს კომისიებში მოწვეული სპეციალისტები - ლ.ფარსადანიშვილი, ზ. ენუქიძე, დ.ნუსხელიძე;
საკრებულოს აპარატის თანამშრომლები: ს.ოხანაშვილი, მ.სოლომნიშვილი, ნ.სახიაშვილი;
მოქალაქეები: მ.მოსიაშვილი, ა.მჭედლიშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს წარუდგინა

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N01 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ნ. ვაყელიშვილი
   11.00სთ-დან - 11.20 სთ-მდე

2. ,,თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ვ. გაგნიძე
   11.20სთ-დან - 11.30 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N10 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ. ენუქიძე

11.30სთ-დან - 11.40 სთ-მდე

4. ქალაქ თელავში, თბილისის გზატკეცილზე მდებარე 2126 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონე პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი

11.40სთ-დან - 11.50 სთ-მდე

5. ქალაქ თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 101 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონე პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი

11.50სთ-დან - 12.00სთ-მდე

შესვენება 12.00 სთ-დან 12.10სთ-მდე

6. ქალაქ თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონე პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი

12.10სთ-დან -12.20სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი

12.20სთ-დან -12.30სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ.მერაბიშვილი

თანამომხს.დ.ზაქაიძე

12.30სთ-დან -12.40სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ალექსი ღარიბაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მოცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი

12.40სთ-დან -12.50სთ-მდე

10. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნანა წიწაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი

შესვენება 13.00 სთ-დან 13.10სთ-მდე

11. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის N48 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. აფციაური
13.10სთ-დან -13.20სთ-მდე

12. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი
13.20სთ-დან -13.30სთ-მდე

13. თელავის მუნიციპალტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N34 დადგენილების ,,თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისთვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მომხს. ნ. ხვისტანი
13.30სთ-დან -13.40სთ-მდე

14. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

მომხს. დ. ღაღანიძე
13.40სთ-დან -13.50სთ-მდე

15. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მივლინების შესახებ.

მომხს. ა. თხლაშიძე
13.50სთ-დან -14.00სთ-მდე

ლ.ბერძენაშვილმა და ნ.ხვისტანმა მოითხოვეს დღის წესრიგში დამატებითი საკითხების შეტანა.

ლ.კოჭლოშვილმა და ლ.მენთეშაშვილმა ითხოვეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ, განცხადებების გაკეთების უფლება.

ა.მახარიაშვილმა რეგისტრაციის გავლის შემდგომ დატოვა საკრებულოს სხდომათა დარბაზი.

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N01 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი

11.00სთ-დან - 11.20 სთ-მდე

მომხსენებელმა ისაუბრა წარმოდგენილ პროექტში განსახორციელებელ ცვლილებებზე და გააკეთა შესაბამისი განმარტებები.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

2.მოისმინეს: ,,თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ვ. გაგნიძე

11.20სთ-დან - 11.30 სთ-მდე

ვ.გაგნიძემ ისაუბრა პროექტში შესატან ცვლილებებზე.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრმა ბ.ქოჩიშვილმა მომხსებელს დაუსვა შეკითხვა, თუ რა კონკრეტული სამუშაოები უნდა განხორციელდეს პროექტში შესატანი ცვლილების ფარგლებში.

მომხსენებელმა გააკეთა განმარტებები, რომ აღნიშნულ ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია „კვირიკე დიდის ციხის“(ძველი გალავანი) და მისი მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებისა და განათების მოწყობის სამუშაოების განხორციელება. მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრებოდა არქეოლოგი ნ.თუშმანაშვილი და საინტერესო იქნება მისი მოსმენა. საკრებულოს წევრებმა გადაწყვიტეს ნ.თუშმანაშვილისთვის მოესმინათ საკითხის კენჭისყრის შემდგომ.

მოქალაქე მ.მოსიაშვილმა დასვა კითხვა ბურჯის აღდგენის შესახებ.

ა.თხლაშიძემ განმარტა, რომ არსებობს ექსპერტების დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ ბურჯის აღდგენა სრულად შესაძლებელია და მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება თანხა აღდგენითი სამუშაოებისათვის.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 21(ოცდაერთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 03(სამი): ლ.მენთაშვილი, ზ.ნაცარაშვილი, ა.თვალიაშვილი.

ნ.თუშმანაშვილმა ისაუბრა თელავის არქეოლოგიური შესწავლის პროცესების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ პერიოდულად კვლევები ტარდებოდა, მაგრამ ერთიანი გეგმა არ ყოფილა შემუშავებული. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპედიციების შედეგად, რომელშიც თავად იღებდა მონაწილეობას, აღმოჩნდა, რომ ღვარცოფების შედეგად ძველი ქალაქი ჩაფლულია მიწაში და ფაქტობრივად მასზე დგას ქალაქი თელავი. მან განმარტა, რომ მიმდინარეობს გეგმის მიხედვით - თელავის დაკვადრატება და ყველა მნიშვნელოვანი ადგილის შესწავლა მაქსიმალურად. მან მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ ის მზად არის ნებისმიერ დროს წარმოადგინოს მეცნიერების დასკვნა, ანგარიშფაქტურა და ა.შ.

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N10 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ. ენუქიძე
11.30სთ-დან - 11.40 სთ-მდე

მომხსენებელმა წარმოადგინა პროექტი და ისაუბრა დადგენილებაში შესატან ცვლილებებზე.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 21(ოცდაერთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 03(სამი): ლ.მენთაშვილი, ზ.ნაცარაშვილი, ა.თვალიაშვილი.

4.მოისმინეს: ქალაქ თელავში, თბილისის გზატკეცილზე მდებარე 2126 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონე პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი
11.40სთ-დან - 11.50 სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23(ოცდასამი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 01(ერთი): ლ.მენთაშვილი.

5.მოისმინეს: ქალაქ თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 101 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონე პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი
11.50სთ-დან - 12.00სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23(ოცდასამი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 01(ერთი): ლ.მენთაშვილი.

6.მოისმინეს: ქალაქ თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონე პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი
12.10სთ-დან -12.20სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23(ოცდასამი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 01(ერთი): ლ.მენთაშვილი.

7.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი
12.20სთ-დან -12.30სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23(ოცდასამი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 01(ერთი): ლ.მენთაშვილი.

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ლ.მერაბიშვილი
თანამომხს. დ.ზაქაიძე
12.30სთ-დან -12.40სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ა.თხლაშიძემ განმარტა, რომ პროექტში ფორმულირება შესაცვლელია, რადგან შეძენილი ფართობის 15% უნდა იყოს მწვანე ზოლი, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე, საჭიროებიდან გამომდინარე უნდა მოეწყოს პარკირება.

ნ.ბაჩიაშვილმა პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ნოემბერში დამტკიცდება გენ-გეგმა და კოეფიციენტების შესაბამისად ამ საკითხს დაარეგულირებს გენ-გეგმა.

ზ.ნაცვლიშვილმა დასვა კითხვა, იმის შესახებ, რომ რუისპირის წარმომადგენლებთან იყო თუ არა გავლილი კონსულტაციები.

ბ.ხატიაშვილმა, ა.თხლაშიძემ აღნიშნა, რომ რუისპირის წარმომადგენლობასთან კონსულტაციები გავლილია და ნუსხაში მოცემული ობიექტებიდან 3 ობიექტი ამოღებული იქნა კონსულტაციების შემდგომ გამოვლენილი წინააღმდეგობის გამო. რუისპირის წარმომადგენლობასთან წინააღმდეგობა არ ყოფილა. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ გამოვლინდება მოსახლეობის მხრიდან

წინააღმდეგობა დამატებით იქნება შესწავლილი საკითხი და პროექტში განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 21(ოცდაერთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 03(სამი): ლ.მენთეშაშვილი, ზ.ნაცარაშვილი, ა.თვალიაშვილი, კენჭისყრის შემდგომ ბ.გაიპარაშვილმა დატოვა სხდომათა დარბაზი.

9.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ალექსი ღარიბაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მოცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი
12.40სთ-დან -12.50სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20(ოცი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 03(სამი): ლ.მენთეშაშვილი, ზ.ნაცარაშვილი, ა.თვალიაშვილი.

10.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნანა წიწაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი
12.50სთ-დან -13.00სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20(ოცი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 03(სამი): ლ.მენთეშაშვილი, ზ.ნაცარაშვილი, ა.თვალიაშვილი.

11.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის N48 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. აფციაური
13.10სთ-დან -13.20სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22(ოცდაორი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 01(ორი): ზ.ნაცარაშვილი.

12.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ზერძენაშვილი
13.20სთ-დან -13.30სთ-მდე

მომხსენებელმა განმარტა, რომ გავლილია კონსულტაციები და სრულყოფილად არის შესწავლილი პროექტი. მან ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი რეგულაცია იმოქმედებს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 21(ოცდაერთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ზ.ნაცარაშვილი, ლ.მენთეშაშვილმა.

13.მოისმინეს: თელავის მუნიციპალტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N34 დადგენილების ,,თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისთვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მომხს. ნ. ხვისტანი
13.30სთ-დან -13.40სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 21(ოცდაერთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ზ.ნაცარაშვილი, ლ.მენთეშაშვილმა.

14.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

მომხს. დ. ღაღანიძე
13.40სთ-დან -13.50სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ლ.ბერძენაშვილმა მიმართა დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ მერის მოადგილეს აქვს სურვილი ჩაერთოს ჯგუფის საქმიანობაში.

ა.მჭედლიშვილმა და მ.მოსიაშვილმა გამოთქვეს სურვილი მოწვეული სტუმრის სტატუსით დაესწრნენ ჯგუფის სხდომებს.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ თანხმობა გამოთქვა ზემოაღნიშნულ შეთავაზებაზე და აღნიშნა, რომ ის მოხარული იქნება თუ სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში ბევრი ადამიანი ჩაერთვება.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 21(ოცდაერთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ზ.ნაცარაშვილი, ლ.მენთეშაშვილმა.

15.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩილ თხლაშიძის მივლინების შესახებ.

მომხს. ა. თხლაშიძე
13.50სთ-დან -14.00სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ლ.ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ დამატებითი საკითხი, რომელიც მას უნდა წარმოედგინა ეხებოდა შ.ნარეკლიშვილის მივლინების ცნობად მიღების საკითხს.

**ა.თხლაშიძემ** აღნიშნა, რომ ის და მუნიციპალიტეტის მერი ერთად მიემგზავრებიან მივლინებაში მნიშვნელოვან შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად. შეხვედრები ითვალისწინებს თელავის დამეგობრებას ორ ქალაქთან. მან მოუწოდა საკრებულოს წევრებს, რომ მისი და მერის მივლინების ცნობად მიღება ერთი განკარგულების სახით იქნეს მიღებული.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩილ თხლაშიძის და თელავის მუნიციპალიტეტის მერის შოთა ნარეკლიშვილის ბელორუსიის ქალაქ კლეცკში მივლინების შესახებ 2018 წლის 30 ივნისიდან - 4 ივლისის ჩათვლით.

16.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილის აბრაამ მახარიაშვილის გადადგომისა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ბაადურ რევაზიშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილის აბრაამ მახარიაშვილის გადადგომისა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ბაადურ რევაზიშვილის არჩევა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ გაკეთდა სხვადასხვა განცხადებები.

1. **ლ.კოჭლოშვილმა** ისაუბრა ქალაქში ფოერვერკებისაგან გამოწვეული ხმაურის პრობლემებზე და საკრებულოს წევრებს მოუწოდა შესაბამისი ღონისძიებების გატარებისკენ.

   აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით **ლ.ბერძენაშვილმა** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტისთვის უნდა გადმოეცათ ხმაურის გამზომი დანადგარი, რაც ჯერჯერობით არ გადმოუციათ და ამიტომ ვერ ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

2. ლ.მენთეშაშვილმა დაუსვა კითხვა თავმჯდომარეს, გენდერულ თანასწორობის საბჭოში მისი კანდიდატურის არ შერჩევის შესახებ.

ა.თხლაშიძემ განმარტა, რომ ლ.მენთეშაშვილი არ გამოცხადდა გასუბრებაზე და მას არც შემდგომ დღეებში გამოუჩენია ინტერესი აღნიშნულთან დაკავშირებით. მან მოუწოდა საკრებულოს წევრს ლ.მენთეშაშვილს, რომ აღნიშნული ფაქტის გამოყენება არ მოხდეს პოლიტიკური განცხადებების გაკეთების მიზნით.

ლ.მენთეშაშვილმა და ბ.ქოჩიშვილმა გამოთქვეს სურვილი გენდერულ თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ყოფნის შესახებ.

მოქალაქე მ.მოსიაშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომები გასაჯაროვდება.

3. ა.მჭედლიშვილმა ისაუბრა შემდეგ საკითხებზე:

1. ძველ ბაღში განთავსებული სკამების მდგომარეობასა და კამერების ფუნქციონირების შესახებ.
2. დასასვენებელ სკვერებში - მზესუმზირით გარემოს დანაგვიანების გამო დაჯარიმების შესახებ.
3. უძრავი ქონების პრივატიზაციის შესახებ მან აღნიშნა, რომ გენ-გეგმის დამტკიცებამდე არ არის მიზანშეწონილი უძრავი ქონების პრივატიზება.

   აღნიშნულ საკითხებზე ა.თხლაშიძემ გააკეთა შესაბამისი განმარტებები.

4. საკრებულოს წევრების მხრიდან ინიციატივების არ არსებობის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე